

რედაქცია: სოლოდოკზე, ზღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეზე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. ВЪ редакцію газ. „Дროба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორგზაბათს გარდა

ფასი განსტყდობისა: დიდრასო-ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., წვეულქობრივის ტი-ცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გა-ასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდე-ლი სტატიები ავტორს არ დაუბრუნ-დება.

## ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**ტირნოპოლი, 16 აპრილს.** ღღეს თავად-მა ღონდუკოვ — ქორსაკოვმა დახურა ხალხის ყრილობა მშვენიერის სიტყვით, რომლის გამოისობით ხალხი მოვიდა აღ-ტაცებაში. შრილობამ გაათავა კონსტი-ტუციის განხილვა. ხვალ, 17 აპრილს, დაიწყებენ მთავრის აღმორჩევას, და მომეტებული ნაწილი ბატენბერგის მხარეზეა.

**ორმანუბლი, 17 აპრილს.** საუკეთესო ქალაქის ალაგები, სასტუმროები, სასა-მართლოები, ჯარების სახლები და ორი საყდარი დაიწვა. საშინელი ზარალი მიე-ცა ხალხს. ნახევარი მცხოვრებლები გა-ლატაკებული დარჩნენ, რომელთა შო-რის ბევრი ხინოენიკობა. სამი ადამიანი დამწვარა. მინისტრ მაკოვს ჯერობით 10,000 მან. მიუცია უფრო დაჩაგრუ-ლებისათვის.

## ფელტონი

ჭუთაისის ბანკის ისტორია

ბ. ღოლაბერიძე ერთი გულ-წრფელი და მუდამ სწავლის მიმდევარი კაცი იყო. ბუღალტრული მასწავლებელი, შეგირ-დების მოყვარული, იმათი გონების გამ-ღვიძებელი და მამულის სიყვარულის გულში ჩამწერავი. მთელი თავის სი-ცოცხლეში მას აქეთ, რაც გონებაზე მო-სულ იყო, მუდამ წიგნებთან ჰქონდა საქმე. პეტერბურღშივე არ უყვარდა ამ-ხანაგობასთან და თავისიანებში ხშირად ღროს გატარება, რადგან ჰხედავდა, რომ იმას აქ ბევრი ღრო ეკარგებოდა. ის, როგორც გონიერი და ხან-შესული კა-ცი, ღროს ძალიან აფასებდა. „სხვისი წახედვა მე არ მარგია, სხვებზე მე ოთ-ხი და ხუთი წლით უფროსი ვარო“

— იტყოდა ხოლმე განსვენებული სტუდენტობის ღროს, სხვებმა ბევრიც იქეიფონ და ღრო ატარონ, სწავლას მაინც მოესწრებთან; იმათ საშუალებაც მეტი აქეთ ჩემზე და წლოვანებაც ნებას აძლევსო. ამავს უფრო თავის ბიძა-შვილებზე იტყოდა ხოლმე, რომელთაც არ მოსწონდათ ბესარიონის განკერძო-ება და ფილოსოფიური მსჯელობა.

ტირნოპოლი, 18 (30) აპრილს. ღღეს შუადღისას თ ბატენბერგი ერთის ხმით ამოირჩიეს ბოლგარიის მთავრად, და სახელად ალექსანდრ, პირველი დაარქვეს.

## სამართლო

მართული თეატრის სამე.

მართული თეატრი ჩვენში პირველად მთავარმმართველმა შორონცოვმა შე-მოიღო 1850 წელში. განსვენებული რაც კი შეიძლება ცდილობდა იმის წარმატებისათვის. ღაუნიშნა მას საკუ-თარი სახლი და რომ სათუო არა ყო-ფილიყო იმის ნივთიერი მდგომარეობა—ყოველ წლიური გადასახადი გამოადე-ბინა ქალაქს (ოთხ-ასი თუმანი) იმის დასახმარებლად; დირექტორათაც დაუ-ყენა თ. შიორგი შრისთავი, რომელიც ამ საქმისათვის საიმედო მოთავედ მია-

ჩნდა, რადგან რუსეთში ნამყოფი იყო და იმ დროებში თავის კომედიით, ბა-ყრით, გამოიჩინა თავი. ამასთანავე მუ-დამ მფარველობასა და წაქეზებას არ აკლებდა მოთავესა და მოთამაშეებს, ოღონდ ქართული თეატრი დამკვიდრე-ბულიყო. მართლაც კარგად წავიდა სა-ქმე: ძალიან ჩქარა გამოჩნდნენ ნიჭიერი მოთამაშეებიცა, სათეატრო თხზულება-ების დამწერნიცა და საზოგადოებაც დიად გულმოდგინებით დაიარებოდა წარმოდ-გენაებზედ. ამ გვარად მცირე ხანში ისე გაჩაღდა ქართული თეატრი, რომ არ შეიძლება ეფიქრა კაცს, თუ ასე თა-მამად დაწყობილი საქმე და იმისთანა ჩინებულ გარემოებაში—მაღე ჩაქრებო-და.

მაგრამ, როგორც მოგვსენებათ, ყვე-ლა საქმის ბედი ყოველის უპირველესად მოთავეზედ არის დამოკიდებული, და ჩვენი თეატრის საქმეც ასე იყო. ორი-ოდე წლის უკან შრისთავმა, რაღაცა მიზეზით, დაანება თეატრს თავი და ამ გვარად ახლად ფენ-ადგმულ საქმეს მოაკლდა ხელმძღვანელი; ამასობაში

ისინი ბ. ღოლაბერიძეს უკარებას, გულ-ცივს, ამპარტავანს და თავის სახელის მოყვარულს კაცს ეძახდნ.

რაც სტუდენტობაში იყო, ბესარიონი იგივე დარჩა შემდეგაც, როცა თეი-ლისში ჩამოვიდა მუდამ განკერძოვებუ-ლი და თავის საქმის მიმდევი.

ამიტომაც ის ჩვენს საზოგადოებას ვერ იცნობდა; ცნოვრების მიხეველ-მობხეველი გზებისა და პირმოთნე მოქ-მედებისა იმას არა ვაფეებოდა-რა. იყო ერთი გულით უმანკო, ღვთის კრივი. ამისთანა კაცს ცნოვრების გამოცდილი კაცი საითაც უნდოდა, იქით მიაბრუნებ-და, როგორც უნდოდა, ისე მოაქმედე-ბინებდა. რაც უნდა უხეირო და მრუდე საქმე ყოფილ იყო, თუ კი იმას საზო-გადო საქმის სახელი ჰქონდა, ყოველ-ფერში მოგყვებოდა. იმას არ უყვარდა კვილაოზი და მეჭორე ხასიათი. „თქვენც იცით, მე ჩემი ბიძაშვილების ყოფა-ქცევა არაოდეს არ მომწონდა და არც არაო-დეს ყუოფილვარ იმათთანაო“—თქვა ერთხელ განსვენებულმა, როცა ჩამო-ვარდა უმიზნო პარტიობაზე ლაპარაკი.

აი, ამ გვარი გულ-წრფელი კაცი დიდის აღტაცებით შეუდგა ჭუთაისის ბანკის პროექტის შედგენას. ის თანა-

უგრძნობდა „ღროების“ თანამშრომე-ლებს, ხედავდა, მათში მისებურს რი-გინას და კეთილის მომღობებს, ქარფა, მხნე შრომის მოყვარე და მამულის ერთგულს ახალგაზღობას. იმ დროს „ღროება“ მართლაც გაცხარებით ებრ-ძოდა ყოველს მრუდე საქმეს ჩვენს სა-ზოგადოებაში: „ღროებამ“ პირველად გამოაშკარავა ძველი კამისიის უმეცრე-ბა, ნ. პრინციის ოინები და სხვ. აი, ამ მხურვალე შეტაკების გამო, განიზრახა ბ. ღოლაბერიძემაც ბანკის პროექტის შედგენა და „ღროების“ თანამშრომე-ლებმაც დიდის სიამოვნებით აღიარეს ის თავის მოთავე კაცად. ისინი თვი-თონვე შეუდგენ ყოველ გვარ-ნაირს შემწეობას და დახმარებას, რაც იმათ კალმიდან გამოვიდოდა.

თვითონ განსვენებულიც ეუბნებოდა „ღროების“ მაშინდელს თანამშრომე-ლებს ამ რიგათ: „რადგან თქვენ ფიქ-რობთ, რომ მე გამოსაღვეი და თქვენი ღირსი წარმომადგენელი ვიქნები, დარწ-მუნებული იყავით, მეც თქვენის დახმა-რებით და თქვენთან ერთად ვეცდები ამ დიდ საქმის სისრულეში მოყვანას“. ამის პასუხად „ღროების“ მწერლებმა უთხრეს განსვენებულს: მაშ ჭუთაისში რომ წახვიდეთ და პროექტის გასაშინ-





მორონცოვიც წავიდა ჩვენი ქვეყნიდან და—ამ რიგად ქართულმა თეატრმა, როგორც იტყვიან, „სუყვავებლივ დაიყვავილა“ და გაჰქრა.

მაჰქრა, მაგრამ მისი სიყვარული დარჩა საზოგადოებაში. საჭირო იყო მხოლოდ ვინმე რიგიანი მოთავე გამოჩენილად და მორონცოვის მსგავსი მფარველი, რომ ისევ ისე ჩინებულად წასულიყო საქმე. ეს ვეღარ მოხდა. მისი ბედი უღონო მფარველებისა და მოთავეების ხელში ჩაეარდა და ამიტომ წესიერებაც მოაკლდა, რიგიც შეეცვალა და ქალაქისაგან გადაღებულ ყოველწლიურ შესაწევარსაც სხვები დაეპატრონნენ, ვითარცა ოხერ ეკვლესიას.

ეს უღონო მფარველები—მოთავენი ესრედ წოდებული თეატრის „მოყვარულნი“ იყვნენ; ესენი არაერთი პირად საოგებლობას არ ეძებდნენ ამ საქმეში, არამედ ემსახურებოდნენ მას სიყვარულისაგამო და საზოგადოების შექცევისათვის, და ყველა შემოსავალი გადაღებული ჰქონდათ ან საბადლო საქმისათვის, ან ისევ ქართული თეატრის მოსაწყობად. ამათ ხელში თეატრის საქმე ისე სწარმოებდა, როგორც საზოგადოდ ყველა საქმე სწარმოებს მოყვარულთა ხელში: იმეათად იმართებოდა წარმოდგენაები და ამ წარმოდგენებს ხშირად ბევრი ნაკლულევიანება ჰქონდა. მაგრამ ერთი იშვიათი და დიდ შესამჩნევი ხასიათი სჭირდათ ამ მოყვარულებს. იმათ წყობას რომ დააკვირდეს კაცი, მორონცოვის თეატრის მოსპობილამ აქამომდე, შეშინებნავს, რომ თითქოს ერთი და იგივე გუნდი მოქმედებს ქართული თეატრის ასპარეზზედ, მხოლოდ ეს კია, რომ ეს გუნდი იცვლება, თითქოს ახლდება: ერთი რომ ანებებს თავს, მის ნაცვლად სხვას მოულოდნელ მოყვარულნი, და შეჰყავსთ თავიანთ გუნდში. და ამ უკანასკნელი ათი წლის მათი მოქმედება რომ განვიხილოთ, ამ შემორე ნათქვამს უფრო ცხადად დავინახავთ.

ამ დროის განმავლობაში (1868 წლიდან) თეატრის ასპარეზზედ მოქმედებენ ერთი და იგივე პირნი, და თავიანთ მოქმედების მიზანიც უფრო გარკვეული აქვსთ. მსენი ამ ანდაზით ხელმძღვანელობენ: „შინ რომ ყმაწვილები ტირილდნენ, გარეთ ტაბლას რა ხელი აქვსო.“—თვის შრომის მიზნად აქვსთ: დროგამოშვებით ქართული წარმოდგენების გამართვა—ქართული თეატრის სასარგებლოდვე, — რაც შემოსავალი დარჩებათ, იმათ განზრახვა აქვსთ მოიპოვონ ყველა საჭირო ტანისამოსი, ნივთეულობა და წარმოდგენაებისათვის დაიჭირავენ ზალა.

პირველ ხანებში მათს შრომას ვერაფერი სანუგეშო შედეგი ჰქონდა და არც გასაკვირველი იყო ეს: მეტად მოუწყობელ გარემოებაში იყვნენ და ამის გამო ყოველ მხრივ უპროსტოდებოდათ საქმე. ძლიერ ვაი-ვაგლახით მოულოდნელ წარმოსადგენ ადგილს, ტანისამოსს და სხვა საჭირო ნივთეულობას და ყველა ამაში მეტად დიდ ქირას იხდიდნენ; საზოგადოებაც გულგრილად უცქეროდა ამ შექცევას, უქველთა, იმიტომ, რომ თავიანთ მოთხოვნილება რიგიანად ვერ უკმაყოფილდებოდა. ამ მიზეზებით მოყვარულებს ყოველთვის ზარალი მოდი-

და და ამ ზარალს თავის ჯიბეში იხდიდნენ. მათი ფრიად დამაბრკალებელი მიზეზთაგანი ამ საქმისათვის ისიც იყო რომ თავიანთ დასში მოყვარულებს ქალები არა ჰყვანდათ და მუდამ წარმოდგენისათვის იძულებულნი იყვნენ აქა-იქ ექირავებინათ ვინც კი შეხედებოდათ. \*) ამ ვაი ვაგლახით ეს საქმე სწარმოებდა ორ-სამ წელიწადს. (1868-1871 წ.) ამას შემდეგ ქართულ წარმოდგენებს უკეთობა დაეცყო. მოყვარული ქალებიც გამოვიდნენ ასპარეზზედ, წარმოგენებიც რიგიანად წავიდა ხალხმაც უფრო ხალისიანად დაიწყო სიარული თეატრში და რაღა თქმა უნდა, რომ მოგებაც რჩებოდათ ხოლმე. მაგრამ აქაც უბედურება დამართა საქმეს: რაც კი რჩებოდა სულ სხვა და სხვა ჯიბეში იყო დაფარული; მოყვარულებს არაერთი წესი არა ჰქონდათ—ყველა დახლიდრობდა, ყველა მოთავეობდა და ვინც რა ფულს მოიგებდა ხელში—ჯიბეში იდებდა და საბუთადაც ესა ჰქონდა: „როცა წესს რასმე შემოვიღებთ, ამ ფულს მაშინ წარმოვადგენო.“ ასე არეულარევითაც ორიოდვე წელიწადს სწარმოებდა საქმე (1873—1871).

ამ გარემოებამ დააფიქრა მოყვარულნი და რაიმე წესის შემოღება გადასწყვიტეს, რომ თეატრის საქმეც უფრო ბევრითად წასულიყო და ფულისთვისაც

\*) ბევრჯელ დაუქრავებით სომხის აკტრისები, რომელთაც ქართული კიბხეც სულ არა სტოდნით და ლაპარაკიც ძალიან ცუდად და რაღი იმ აკტრისებს სომხური ასოებით დაწერილი უსწავლიათ ხოლმე.

ჯავათ ახალ კამისის დანიშნაზე რომ საქმე მიდგეს, თქვენ ურჩიეთ საზოგადოებას, რომ კამისაში ორი განათლებული ახალ-გაზდა კაცი დაგინიშნონ, რომელთაც ძველ პარტიობის ბრძოლაში მონაწილეობა არა ჰქონდეს, თუნდ პირილვე და ანტონ ლორთქიფანიძეები; და მაშინ ჩვენ ყოველს ღონისძიებას ვინმართ, უცხო ენებზე დაწერილის მოსაზრებით და ცოდნით შეგვეწყვიტო, რომ საქმე კარგათ წავიდეს; მაგრამ ამას კი დრო უნდა და ნურც თქვენ აჩქარდებით. სჯობია ერთი და ორი წლით უფრო გვიან გაიხსნეს და ჩვენის ქვეყნის შესაფერს საფუძველზე იყოს დაყენებული, ვინამც აჩქარებით საქმე წახდეს. ისიც მადლობა ღმერთს, რომ უმეცარსა და ანგარების მექონე გარეშე კაცს ეს დიდი საქმე ხელიდან გამოეგლიჯეთ. და აწვეცადოთ, რაც შეიძლება, გონიერათ და მოსაზრებით წავიდეს საქმე“.

ბევრი ამისთანაები გამოითქვა აპრილის გასულს 1872 წელს ბესარიონის სახლში შეკრებილ მწერლებს შორის მთელისს. ბანსვენებული ბ. ლოლაბერიძე იმ საღამოს აღტაცებული იყო. თავის მომავალს ბედს ბედნიერათ ჰხედავდა. ის იმ დროს, როგორც უხუცესი ახალთაობისა, ისე თაოსნობდა „ლორების“ წარმომადგენლებს.

რაც საუკეთესო და ქვეყნის მომავალი საიმედო ახალ-გაზდობა იხადებოდა, ყველას თანაგრძნობა და წინამძღვრობა ეჭირა ამ კაცს იმ დროს ხელში.

ბავიდა რამდენიმე ხანი. ბ. ლოლაბერიძე წავიდა მუთაისს თავის ბანკის პროექტის გასასინჯველად ძველი კამისის წვევებისათვის და საზოგადოებაში გავლენის მექონე კაცებისათვის. აქ იმას წინ დაუხვედნენ მისი ბიძაშვილები და თავი შეუხვიეს. აღარსად ფეხი აღარ გადაადგმევინეს. მისთანაც მივიდოდა, ყველასთან მიჰყვებოდნენ, ელერსებოდნენ, ყოველფერს უწონებდნენ პირში ეუბნებოდნენ, შენ რომ არა, ბანკის საქმე დაიღუბებოდაო; იმერეთს შენ დიდი ღვაწლი დასდევიაო; მაგრამ საზოგადოებას და გავლენის მექონე კაცებს კიდევ სხვანაირათ ეუბნებოდნენ: „ეგ ერთი წვრილმანი თავის მოყვარე, უკარება და უგემური კაცი არისო. მაგას უნდა ხერხიანათ მოქცევა, რომ გამოვიყენოთო. იმერეთის ბანკის პროექტის შედგენა მაგას ჩვენ მივანდეთო და ჩვენის რჩევით შეასრულაო, თორემ ეგ მაგას ვერ მოიფიქრებდაო. ჩვენ მაგას და მაგის პროექტს კარგა გამოვიყენებთ, თუ თქვენც დაგვეთანხმებითო და ერთ ხმათ ვფრჩევთ, რომ მარტო აქაურ განათლებულს

კაცებთან, ესე იგი ჩვენთან მარტო და თქვენთან თუ დაიჭერს მხარსაო.

როგორც კი განსვენებული საღამო საზოგადოებაში ჩამოაგდებდა ლაპარაკს ან პირილვე, ან ანტონ ლორთქიფანიძეებზე, როგორც, ნაკო და ხან-და-ხან სვიმონ ლოლაბერიძეებიც მაშინვე პირში მისცვინდებოდნენ და იტყოდნენ: „ეგენი კარგი ყმაწვილები არიან, მაგრამ საქმეში ჯერ არ არიან გამოცდილები, ჯერ დაუშვითველი გონება აქეთო. დავით მიქელაძე, სერგეი მესხი და სხვანი ჩვენი მწერლებთაგანი, რომ დაესახელებინა ბესარიონს, ესენი მაშინვე პირში მიაგებდნენ: „არა, ეგენი საშიშო კაცები არიანო, მთავრობისგან შენიშნულნი; ზოგზე ამბობდნენ, რომ საზღვარს გარეთ გავარდნილ კაცებთან ჰქონიან მეგობრობაო, ზოგზე—საფრანგეთში რომ იყო, იქაურს რევოლუციამი ერეოდაო, ზოგზე—კიდევ—თუ უპრაქტიკულო და თავხედი კაციოა. ამ სახით გამოდიოდა, რომ მაშინ ჩვენ საზოგადოებას მხოლოდ ეს სამი ძმა კაცი ჰყოლია, ყველაზე უკეთესი, ყველაზე განათლებული, ყველაზე გამოცდილები და თუ ჰსურდა ბ. ლოლაბერიძესაც შეეძლო ამ სამს ძმაში თავის ბიძაშვილებში ერთ-ერთი ამოერჩია კამი-





ერთ ალაგას მოყვარათ თავი. ბამართეს თათბირი და ამ თათბირში მოიწვიეს ყველა ვისაც კი ჰრაცხადნენ ამ საქმისათვის გულის შემატკივრად. ილაპარაკეს, იფიქრეს და ბოლოს ამოიჩინეს ხუთი პირი და იმათ მიანდეს ქართული თეატრის მზრუნველობა, წესიერების დაცვა და შემოსავლის შენახვა. ამ დროსვე შეუდგნენ ზრუნვას, რომ გამოეწვიათ სათეატრო მწერლობა, და ამ მიზნით მოაგროვეს ოცდამდე სათეატრო თხზულებათა მწერლების დასაჯილდოებლად. ხოლო თხზულებების დასათესებლათაც იქვე ამოიჩინეს სხვა სამი პირი.

ამანაც ბევრი ვერა უშველარა თეატრის საქმეს. მის მზრუნველებად ამორჩეული პირები, უმეტეს ნაწილად მხოლოდ „კეთილი თანამგზობელნი“ იყვნენ და არა ნამდვილი თეატრის მოყვარულნი; ერთი-ორის მეტი იმათგანი სულ უცხო იყო თეატრისათვის და დახმარების ნაცვლად თითქმის აპრობლდნენ კიდევ საქმეს. ამიტომაც იმათი შრომა გამოიხატა მხოლოდ იმაში, რომ ერთ-ოციოდე თუმანს მოუყარეს თავი წარმოდგენებში; ამას იქით არ გადაუბიჯნია მათს მოქმედებას, თუმცა ხან და ხან აგონდებოდათ კიდევ, რომ თეატრის მზრუნველებად ვართ დადგენილნი და მითომ რაღაც ფაცი-ფუცი შეუდგებოდათ ხოლმე, მაგრამ უსარგებლოდ და უნაყოფოდ. სათეატრო თხზულებებისათვის დანიშნული ოცი თუმანიც აქამდის დაუხარჯავი დარჩა, თითქოს ყველამ პირობა დასდგა ჯილდოს გულისათვის არ ვიშრომოვო.

შარშანდლამდის ასე მიდიოდა საქმე. რალა თქმა უნდა, რომ მუდამ უმადურნი იყვნენ თავიანთ გარემოებისა ჩვენი თეატრის მოყვარულნი, რადგან საქმეს წარმატება მაინც არ ეძლეოდა. მძიმე იყო მათთვის მთელი ათი წლის ვაი-ვაგლახის უნაყოფოდ ჩაეღა და ფიქრობდნენ რაიმე ღონისძიების ამორჩევას რომ საქმე საიმედო გზაზედ წარსულიყო. ამასობაში ახალი ძალა მიემატა იმათ, ორიოდე ახალი მოყვარულნი ჩაერივნენ საქმეში, არწრუნმაც თავის ქარვასლაში თეატრის შენება დაიწყო და—მოყვარულთაც ახალი იმედით და ხალისით დაიწყეს მოქმედება. იმედი მიეცათ, რომ მატანტალაობას მორჩებოდნენ და ერთ ალაგას დაბინადრებოდნენ—ნამდვილი თეატრში. სხვაც საჭიროების შესრულებაც აღვილი იყო ოლოდ ბეჯითად მოეკიდნათ ხელი საქმისათვის, და—გადასწყვიტეს სამუდამო თეატრის დაფუძნებისათვის ბეჯითი შრომა.

ამ გარდაწყვეტილებით მართლა ბეჯითად დაიწვეს საქმე შარშან შემოდგომას. მსკენისთვიდგან აქამომდე რვა წარმოდგენა მოახდინეს და მეცხრეც აღდგეს არის. ხუთი წარმოდგენის შემოსავლიდგან სამის შემოსავალი სამადლო (საქმეს მოხმარდა) ორმოციოდე თუმანის ტანისამოსი მოიპოვეს და თხუთმეტოდე თუმანიც ფულად ექნებათ მა ამბავი პირველია ქართული მოყვარულთა თეატრისათვის.

მათ წყობას უმეტესი წესიერება მიეცა: ყველა თანამდებობის აღმასრულებელი ცალკე დანიშნეს) (რეჟისორი,

გამგებელი და ხაზინადარი. ამასთანავე, რომ მომეტებული ხალისით მოქმედებოდა მოყვარული თეატრის საქმეს—შრომის დაჯილდოებაც შემოიღეს. წმინდა შემოსავალი ორ თანასწორ ნაწილად იყოფა, ერთი ჰხმარდება თვითონ თეატრის მოწყობილება და მეორე ნაწილის მოთამაშენი იყოფენ ერთმანერთში შრომის და გვარად. ამ ღონისძიებათ თავის ხვედრი კეთილი ნაყოფი მოიტანა, რადგან ცნობილია უკვე, რომ შრომის დაჯილდოება პირველი ძალაა თვითონ შრომის წარმატებისათვის.

ამას გარდა მოყვარულთა ამოაჩინეს კომიტეტი და მიანდეს მას იმ გვარი წესების შედგენა და იმ საშუალებათა გამოძებნა, რომელთა შემწევობით მოყვარულთა გუნდს შეეძლოს სამუდამო თეატრის ტრუჰად გადაქცევა. ამ კომიტეტში, როგორც უკვე იცის მკითხველმა ჩვენი გახეთილგან, ამორჩეულნი არიან უფ. ლიმ. შიფიანი თ. ბ. თუმანიშვილი, ნიკ. ავალიშვილი, ალ. სარაჯიშვილი და იოს. ბაქრაძე.

ამ კომიტეტმა თითქმის შესრულა თავისი მინდობილება. შეადგინა იმგვარი წესები, რომელნიც შესაფერხი არიან იმ გარემოებისათვის, რა გარემოებაშიაც დაიბადა სამუდამო ქართული თეატრის დაფუძნების სურვილი, გამოიკვლია სათეატრო თხზულებების ამ ფამადი მდგომარეობა და საჭირო ტანისამოსისა და სხვა სათეატრო ნივთიულობის რაოდენობა და მათი მოპოვებისათვის საჭირო ფულის ჯამი და შეუდგა ამ ფულის მოპოვებას. მათი ანგარიშით ხუთას თუმანამდის არის საჭი-

სიის წევრებათ, ან არა და სამივე ერთად და ამასგარდა სხვა იმერეთის საზოგადოების გავლენის მექონე კაცებიც; და ჩვენს ახალ-გაზდა მწერლებთან კი უსათუოდ იმას კავშირი უნდა გაეწყვიტა, არც დაკითხებოდა და არც ერთი ამათგანი კამისიაში არ მოეწვია და გვერდით არ ამოდგომოდა. „არამცა და არამც ჩვენი ახალგაზდა მწერლებთაგანი არ მოიხმარო მაგ საქმეში, თორე საქმე გაგიფუტდებაო—ეუბნებოდა ნ. ლოლაბერიძე ბესარიონს. ჩვენი საზოგადოება იმათ არ იცნობს და, რათ გინდა, ამ თავითვე საქმე გააფუტოვო“.

მოველივე ეს ამბავი მოხდა მას შემდეგ, რაც ბ. ლოლაბერიძე თბილისიდან მუთაისს წავიდა. აი, რას ამბობს განსვენებული ამ საგანზე:

„მის მათის მთუთაისს მივედი, მიხლოდა შემეტყო ჩემი ბიძა შევიღებო და სხვა ვინმე პირები, რომელნიც წინაზე არ შენახა, რას ფიქრობენ, რა გზას ადგანან და მეც ერთ გაკვლეულს გზას დავდგომოდი...“

სამს იენისს ნ. ლოლაბერიძეს გაუგზავნე ჩემის პროექტის უკანასკნელი რედაქცია და ამასთანავე მოკლე შედგენილი იმისი საფუძვლები; ხუთს—მე თვითონ მივედი მუთაისს. აქედამ ოცდა ხუთს

იენისამდის თითქმის ყოველი კარი მოვიარე, ვისგანაც რამე რჩევას და შემწევობას მოველოდი, ვისაც ვიცნობდი და შევხვდი, ვინც მომაგონდა, ვინც ისურვა, ყველას მოვახსენებდი ჩემს აზრებს ბანკის თაობაზე და ჩემს პროგრამასა.“

ამის შემდეგ „ღროების“ მწერლობას თითქმის აღარ უნახავს ბ. ლოლაბერიძე სალაპარაკოთ. ამსახით ჩვენს საზოგადოებასა და ჩვენს „ღროების“ მწერლებს შორის ჩადგენ კედლათ ბ. ლოლაბერიძის ბიძაშვილები, იმათი ახლობელი გემნაზიაში ნასწავლი ნათესაობა, რომელნიც ისე ბევრი იყო იმ დროს, როგორც ზღვის ქვიშა. იმათი მეგობრები უწინდელს პარტიობაში, ნესტორის წინააღმდეგ ვინც კი იყვნენ, ყველანი იმათ დაეხმარნენ ამ საქმეში და მრავალის უსაფუძვლო ჭიკობით და ხმებით გააძალკვეს ჩვენი მაშინდელი საზოგადოება ჩვენს მწერლობასთან, ჩვენს ქორთა და ჭკუით სავსე ახალგაზღობასთან; თვითონ კი კედლად ჩადგენ შუაში და ბ. ლოლაბერიძე იქით გადიმწყვდიეს.

არ შემიძლია არ დავასახელო მრავალს გვარს მაშინდელს ჭიკობში ერთი შესანიშნავი მოგონება, რომელიც მეც ბევრჯერ გამიგონია იმ დროს.

„ნ. ნიკოლაძე თავდა-აზნაურობის ბანკს ასტეხიაო, უნდა შიგ გავერიოს თავის ამხანაგების შემწევობით, თავდა-აზნაურობის ფული ხელში მოიგდოსო და ტყიბულის ქვის-ნახშირს მოახმაროსო. ლოლაბერიძეები ამას ეწინააღმდეგებიანო და იმიტომ ჩაუსვია კბილი იმას და აკაკი წერეთელს ბესარიონზე და იმის ბიძაშვილებზეო“.

ამისთანავე წერილმანმა ჭიკობიანობამ მეტად გააბრაზა უფ. ნიკო ნიკოლაძე, რომელიც დროთა ვითარების გამო იმ დროს ჩემულობდა ქართულს მწერლობაში თაონობას. იმან გაბრაზებით დაუწყო „ღროებაში“ პოლემიკა ბ. ლოლაბერიძეს და რაშიაც იმის ბიძაშვილები იყვენ დანაშაული, ყოველივე იმას მოახვია თავზე. ამან დაუწყო მხილება და ძაგება „ღროებაში“, როგორც ბ. ლოლაბერიძეს, ისე იმისგან შედგენილს ბანკის პროექტს; მაგრამ რასში მდგომარეობდა იმის ნაკლებიგანება, ნათლად ვერ გაარჩია. იმისი საზოგადო აზრი ეს იყო, რომ ბ. ლოლაბერიძის ბანკის უსტავი რუსეთის ბანკების უსტავებიდან არისო ნაკუწ-ნაკუწათ გადმოწერილიო, ჩვენი მიწის მფლობელობა სულ სხვა წესზე არისო დაფუძნებული, ვინმეც რუსეთში, ჩვენს ქვეყანას სულ სხვა ნა-





რო, რომ ყველა თეატრისათვის საჭირო საგანი მოიპოვონ და მკვიდრად დაიწყონ საქმე. ამ ფულის მოპოვებისათვის კომიტეტი აპირებს ქართული საზოგადოებისადმი მიმართვას, და იმედოვნებს, რომ ვიქონიოთ იმის დახმარებისა. მართის სიტყვით ჩვენი თეატრის დაფუძნებისათვის შრომა დასრულებულია, მხოლოდ ახლა საქმე საზოგადოების შემწეობაზედ არის დამოკიდებული.

ახლა ვიკითხოთ ვინ არიან ეს მოყვარულნი და რით მოუპოვებიათ უფლებები, რომ საზოგადოებას სთხოვენ დახმარებას თეატრის დაფუძნებისათვის? ჩვენ ეს საუბარი ასე შორიდგან იმიტომ დავიწყეთ, რომ საკმაოდ გავვეცნობებინა მკითხველისთვის ამათი ვინაობა. ახლა მართა ამას ვიტყვი: დრო, რომელიც მოუხმარებიათ მათ ქართული თეატრისათვის; ვაი-ვაგლახი, რომელიც აუტანიათ ამ დროის განმავლობაში; ის გარემოება, რომ ხშირად თავიანთ ჯიბიდან გადაუხდიათ თეატრის; ბეჯითი მიმდევარობა ერთი აზრისა და—ეს ყველა მთელი ათი წლის განმავლობაში გამუდმებით, დაჟინებით—საკმაოდ ამტკიცებს, რომ მოყვარულებს თეატრის ასპარეზზედ უმოქმედნიათ არც პირადი სარგებლობის შეძენისათვის, არც ქენის დამსახურებისათვის—(ხშირად ბევრი გაციცხვაც მიუღიათ საქვეყნოდ),—და არც უსაქმურობით, არამედ სამშობლო თეატრის მეტის-მეტე სიყვარულისაგამო, იმის სამუდამო დაფუძნებისათვის, და

მართა ამ სიყვარულს აუტანინებია იმათთვის მრავალგვარი ზნეობითი და ნივთიერი გაჭირება—ამ საქმის გადაკიდევ.

ამიტომ ჩვენი აზრით მართა ესენი არიან ამ ქამად ნამდვილი მზრუნველნი და მოკეთენი ქართული თეატრისა, მართოდ-მართო ამათ ანუ ამათ წარმომადგენელთა აქვსთ უფლება საზოგადოების მოწოდებისა თეატრის დახმარებისათვის, მართა ამათ ენდობა საზოგადოება, რომ საქმეს გულსმოდგინებითა და ბეჯითად წაიყვანენ, რადგან ეს გულმოდგინება და სიბეჯითე უჩვენებიათ უკვე ამ საქმეში. ამისთანა წრის (კუნდის) თავდებობა, რომ საქმეს რიგინად წაიყვანენ—უფრო საიმედოა, უფრო ძნელია მოუხდება რამე უბედური შემთხვევა, ვიდრე კერძოპირის თავდებობას, რომელიც მუდამ რაიმე შემთხვევის გავლენის ქვეშ იმყოფება.

ყველა ამ მოაზრების ძალით, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თეატრის მოყვარულნი აღვიღად აღასრულებენ თავიანთ განზრახვას, თუ გულდადებით გააგრძელეს საქმე. საზოგადოებაც სიამოვნებით დახმარება იმათ, რადგან იცის რა დამსახურებაც მიუძღვისთ ამ მოყვარულთა თეატრის საქმეში: ევრაჟინ ეტყვის მათ „ვისი ტიკი-ტომარა ხართო“. ჩვენმა საზოგადოებამ ისიც კარგად იცის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ცხოვრებაში თეატრს და ამიტომ სრული იმედი გვაქვს არ დაიშურებს თავის საკუთარი თეატრის დამკვიდრებისათვის რაიმე შემწეო-

ბას—შეძლებისამებრ, და მით უმეტეს თავს ხელს იმისთანა საქმეს, რომელიც ხალხოსნური გრძნობის გამამტკიცებელია, გრძნობების ამამლლებელი და ზნეობის გამწმენდი, სხვანაირად ესტქვათ: სულის გამამდიერებელი, გულის გამამომბიერებელი და ვინაობის დამცველი, სიტყვით—უდიდესი შკოლა საზოგადოებრივი ცხოვრების გახსნისათვის და წარმატებისათვის.

### ბანსხალუბანი

პარასკევს, 20 აპრილს, საზაფხულო თეატრში ქართული სცენისასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება:

#### მავით ავამოჟოჟი

ქომედია 3-ს მოქმედებად, მოლიერიისა, ბნელ ოთახში

მოდველი ერთ მოქმედებად. ბილეთები ისყიდება როინოვის ფოტოგრაფიაში, და წარმოდგენის დღეს, თეატრში კასირთან.

დაიწყება საღამოს 7 1/2 საათზე. (2—2)

### „პაერ ოსტატი“

ქამედია ოთხ-მოქმედებად, თხზულება მ. ჯორჯაძისა

ირი ბანკი უნდაო; მაგრამ რასში მდგომარეობდა ეს სხვა ნაირი თვისებები საქართველოში დასაფუძნებელის ბანკისა უ. ნიკოლაძემ ვერ უჩვენა. ბ. ლოლაბერიძეს კი მოსდგა და ლანძღვა დაუწყო; ისეთს საქმეებს სწამებდა, რომელიშიაც ის წმინდა იყო. მართი სიტყვით, იმან პოლემიკაში ისეთი წერილმანი თავმოყვარება და პიროვნება გამოიჩინა, რომ ყველა განათლებული და გაუნათლებელი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა უკმაყოფილო გახდა და ზურგი შეაქცი იმას.

ამ ბაასში უფ. ნ. ნიკოლაძემ ისეთივე მეშურნეობა, ჭორიკანაობა და პირადობა გამოიჩინა, რომლისთვისაც „ღროება“ სხვას სდევნიდა. ამ შემთხვევაში „ღროება“ გადაუდგა თავის მალაღანის უნულებას და „ღროების“ მწერლებიც თუმცა ძალიან უკმაყოფილონი იყვენ ბ. ლოლაბერიძის ბიძაშვილების უკადრისს მოქმედებაზე; მაგრამ მაგიერათ აღარც ნიკო ნიკოლაძის მხარე ეჭირათ და ისინი ყველანი გამოარდენ „ღროებას“.

ამის შესახებ ერთმა იმერეთის გონიერმა აზნაურმა იაკობე შიფინამა აი რა შენიშნა „ღროებაში“  
„ახლა რომ ნ. სკანდელი და აკ. წერეთელი არ აქებენ როგორც უსტავს, ისე კომისიის წევრებს, მე მგონია, ისინი ამით კიცხავენ

აზნაურობას, რომელმანც მიღო უსტავი და ამოიჩინა წევრები კომისიისა. თუ რომ მართლა სხვა ევრაჟინ დასწერა რიგინი და სასარგებლო უსტავი, რა იქნებოდა, რომ ან ნ. სკანდელს და ან აკ. წერეთელს დაევალებინა აზნაურობა და ერთი კარგი უსტავი დაუწერიათ რომლითაც ერთი რომ დაუმტკიცებდენ აზნაურობას ერთგულებას; მეორე რომ დაეინახად მათს დიდს ნიჭს და გამოცდილებას...

უნდა გათხრათ, მკითხველნო, რომ მე ჩემის მხრით მათს ლიტონს ლაპარაკ ვერ ვერწმუნები, მისთვის რომ ისინი მხოლოდ ამბობენ „აგრავაო“ და რა მიზნით, ანუ რომელი მუხლი უსტავისა არ ვარგაო, იმას კი არ გვიხსნიან“.

მკითხველნო, მე ვარ გაცხარებული და დავიწყე მოედანზე ქაქანი, მისთვის რომ ძლივს იმერეთს ეღირსა ბანკის დაბოლოება ბ. ლოლაბერიძის შრომით და ეხლა ნაცვლად შეწვევისა და კარგის რჩევისა ნ. სკანდელი და აკაკი წერეთელი აძაგებენ უსტავს, რომლის ნაკლულევენებას კი არ გვიხსნიან... [ეს იყო მთელი იმერეთის თავად აზნაურობის აზრი იაქინთე შიფინანის პირით გამოთქმული.

მაგრამ როგორც იაკინთე შიფინამა, აგრეთვე მთელმა იმერეთის თავად აზნაურობამ მაშინ არ იცოდა, რომ „ღროების“ მწერლებმა დიდის გულ მხურვალებით აღუთქვეს ბ. ლოლაბერიძეს შემწეობა ოღონდ იმას კავშირი არ გავწვიტა „ღროების“ მწერლებთან და მაშინდელს უფრო დაწინაურებულს ახალგაზ-

დობასთან. ბ. ლოლაბერიძე სულით და გულით ამ ახალგაზდობასთან იყო და ამათის საშუალებითაც ცდილობდა ეს საქმე სრულად გაეკეთებინა; მაგრამ როგორც ყოველს გულწრფელს კაცს სწევია რაკი ის მუთაისს წაიღა მისმა მოხერხებულმა ბიძაშვილებმა ჩაიგდეს ხელში, დაამორეს ახალ გაზდობას, გაურღვეველ კვლათ წინ აეყუდენ იმას და ახალგაზდობა ჩამოაფარეს. ამ მოქმედებაში გამოჩნდა მხოლოდ ბ. ლოლაბერიძის ბიძაშვილების ოინები, იმათი სურვილი თვითონ დასაკუთრონ ბანკის დაარსების სახელი არ მიუშვან ახალგაზდობა არც უსტავის უკეთ შესამუშაველათ და არც ბ. ლოლაბერიძე მიაკარონ იმათ.

ამით, რასაკვირველია, თუ რაიმე ნაკლულევენება გამოუვიდა დღეს ჩვენს ბანკს ბ. ლოლაბერიძის ბიძაშვილების ბრალია; მაგრამ იმდროს უფ. ნ. ნიკოლიძის უდროგო და უტაქტო პოლემიკამ აგრეთვე უხეირო პიროვნობის გამოჩენამ კიდევ უფრო აწნო ახალგაზდობას საზოგადოების თვალში. საცა გაჩუმება უნდოდა, იქ ნიკოლაძე ყბა გაუჩერებლად ლაყობდა და სადაც რიგინი და საქმის მტოდნე ლაპარაკი იყო საქირო, იქ ის ლობე-ყორეს ედებოდა.

განმცლები კიციბინოთა ბ. წერეთელი